განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **თამარ ვალიშვილი**

**წევრები:**

სახელი, გვარი - **ქეთევან გელაშვილი**

სახელი, გვარი - **იანინა გიგიბერია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 18.09.2018წ. ბრძანება N841-ის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ფარმაცია“ (სააფთიაქო) მეხუთე საფეხურის და „კბილის ტექნიკოსის“ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 1 და 2 ოქტომბერს ვიზიტი განახორციელა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეა-ში.*

*ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, მოდულური პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და პროგრამების კოორდინატოებთან.*

*ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებლი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან.*

*ადგილზე გადამოწმდა ვებ გვერდი, კატალოგი, საქმისწარმოების დოკუმენტაცია. ექსპერტები გაესაუბრნენ საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს.*

*ექსპერტებმა შეამოწმეს ადგილზე პროგრამებთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (საგანმანათლებლო სივრცეები, ადაპტირებული გარემო, A, B და C სასწავლო გარემო), საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ტექნიკური აღჭურვილობა.*

*ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, შპს სტომატოლოგიური კლინიკა „ელიტი“ და შპს სტომატოლოგიური კლინიკა „საპარუსი“ . ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.*

*ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა შეიმუშავეს დასკვნის პროექტი, იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გარშემო, შეაჯამეს შემოწმების შედეგები და ძირითადი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | | | |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის | **მუხლი 7 /** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მექანიზმები. | **პუნქტი ვ.დ)** | | |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*შპს. საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამედიცინო კორპორაცია „ევექსთან“, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის წარჩინებული 10 სტუდენტის სრულ დაფინანსებას.*

*საზოგადოებრივ კოლეჯს პანაცეა აქვს მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური კავშირები.*

*კერძოდ, 2015 წლიდან კოლეჯი თანამშრომლობს ლატვიის ქ.დაუგავპილსის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯთან. 2016 წელს კოლეჯის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქ.დაუგავპილსში კოლეჯის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაზე სადაც წარდგნენ პრეზენტაციით საექთნო განათლების შესახებ.*

*ტალინის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში კოლეჯი გეგმავს ერთობლივი პროექტის განხორციელებას სახელწოდებით „პირველადი გადაუდებელი დახმარება ყველასთვის“*

*პოლონეთის „ჯანმრთელობის და სპორტის ფუნდაციის“ მიწვევით 2018 წლის ივნისში კოლეჯის დელეგაცია მიწვეულ იქნა ქ.უსტრონში, სადაც ჩატარდა კონფერენცია „ისწავლე და დასაქმდი პოლონეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში“. თანამშრომლობის მიზნით დაიდო მემორანდუმი საექთნო კადრის დასაქმებასთან დაკავშირებით პოლონეთში. კოლეჯის ადმინისტრაცია აფინანსებს პოლონური ენის კურსებს პოლონეთში დასაქმების მსურველ სტუდენტებისათვის.*

*კოლეჯს ასევე აქვს შეთანხმება გერმანიასთან სტუდენტთა დასაქმების თაობაზე. ამ მიზნით გერმანულმა მხარემ აიღო ვალდებულება დააფინანსოს გერმანული ენის შესწავლა მუშობის მსურველ სტუდენტებისათვის.*

*კბილის ტექნიკოსის პროგრამის ფარგლებში 2 მასწავლებელი და 4 სტუდენტი 2016,2017 წლებში იმყოფებოდნენ ფინეთში, სადაც გაეცნენ კბილის სატექნიკო აღჭურვილობის უახლეს აპარატურას და კბილის პროტეზების დამზადების 3-D ტექნოლოგიებს.*

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

*ვიზიტის მიმდინარეობისას არ დაფიქსირდა არც ერთი ხარვეზი.*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

## VII. დაწესებულების მისია

*საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მისიაა მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.*

### სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

**1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებამ განაცხადი შემოიტანა ცენტრში 2 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე: კბილის სატექნიკო საქმე (მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა), ფარმაცია (სააფთიაქო) (მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა).*

*საგანმანათლებლო პროგრამებს ახლავს შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის მოდულები, რომლებიც შედგენილია კოლეჯის შიდა რეგულაციების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.*

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების მე-13 მუხლის 27-ე პუნქტის, ასევე შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა 08.08.2018 წლის ადმინისტრაციული საბჭოს N6 ოქმის თანახმად, მოდულური პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა დირექტორის მიერ (ბრძანება N 53, 10.08.2018წ).*

*პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების დამატების ინსტრუქციის მიხედვით, ახალი პროგრამების შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოახდინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროექტის შემუშავება. შემუშავებული პროექტი წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*ხელმძღვანელს. შემდგომ პროექტი წარედგინა ადმინისტრაციულ საბჭოს, განხილვის შემდეგ პროგრამები დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით.*

*მოდულური პროგრამების შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ ხარისხის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულების განმახორციელებელი პირები (რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N33, 24.05.2018წ).*

*პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: სახელწოდება, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის შემადგენელი მოდულები (ზოგადი სავალდებულო, პროფესიული/დარგობრივი მოდულები), სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. პროგრამებს დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და მატერიალური რესურსის შესახებ.*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი მოდულები ადაპტირებულია ანუ გადამუშავებულია მოდულებში მითითებული რეკომენდაციების დაცვით.*

***<u>1. კბილის სატექნიკო საქმე (მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა),</u>*** *პროფესიული პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სტომატოლოგიური საქმე (სარეგისტრაციო ნომერი - 09108-პ) საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კბილის სატექნიკო საქმეში (090252).*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 82 კრედიტს: ზოგადი მოდულები - 15 კრედიტი, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 67კრედიტი.*

*ქართული ენის კომპეტენციის არ მქონე პირებისთვის პროფესიული პროგრამა მოიცავს 112 კრედიტს.*

*სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 61 სასწავლო კვირას; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 87 სასწავლო კვირას.*

*სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები.*

*პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით (გაცნობითი პრაქტიკა - სასწავლო ექსკურსია) დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს კლინიკასთან „ელიტი“ (9.08.2018წ) და შპს „საპარუს-თან“. კლინიკა „ელიტი-ს“ ბაზაზე იგეგმება 4 მოდულის განხორციელება: კად კამი და სინთეზირება (125 საათის მოცულობით), მოუხსნელი იმპლანტკონსტრუქციები (87,5 საათის მოცულობით), მოსახსნელი იმპლანტკონსტრუქციები (87,5 საათი მოცულობით), ცირკონოკერამიკა (100 საათის მოცულობით). შპს „საპარუსი-ს“ ბაზაზე იგეგმება 11 მოდულის განხორციელება: გაცნობითი პრაქტიკა - სტომატოლოგიური საქმე (12,5 საათი), კბილების ძერწვა და მოდელირება (24,5 საათი), სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა (12,5 საათი), ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზების მომზადება, პოლიმერიზაცია (50 საათი), მარტივი ბიუგელისებური პროთეზის დამზადება (51 საათი), მეტალის ჩამოსხმის ტექნოლოგია (20 საათი), მეტალოკერამიკა (40 საათი), ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია (100 საათი), სამუშაოს მიღება, ანალიზი და დაგეგმვა ექიმთან ერთად (25 საათი), რთული ბიუგელისებური პროთეზი საკეტისებური სამაგრით (212,5 საათი), პლასტმასისა და მეტალის კონსტრუქციები (41 საათი).*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

***<u>2. ფარმაცია (სააფთიაქო) (მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა),</u>*** *პროფესიული პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ფარმაცია (სააფთიაქო) (სარეგისტრაციო ნომერი - 09110-3) საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (090352).*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 123 კრედიტს: ზოგადი მოდულები - 11 კრედიტი, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 109 კრედიტი, 1 არჩევითი მოდული - 3 კრედიტი.*

*ქართული ენის კომპეტენციის არ მქონე პირებისთვის პროფესიული პროგრამა მოიცავს 153 კრედიტს.*

*სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 82 სასწავლო კვირას; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 108 სასწავლო კვირას.*

*სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები.*

*პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“ (N2018/04, 3.08.2018წ), სადაც გათვალისწინებულია 8 პროფესიული მოდულის განხორციელება 12,5 კრედიტის მოცულობით (ჯამში 312,5 საათი):*

1. *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში (21 საათი);*
2. *მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება (37,5 საათი);*
3. *პროდუქციის მიღება-განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება (69 საათი);*
4. *მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში (21 საათი);*
5. *მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა (31,5 საათი); ~*
6. *მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა (34,5 საათი);*
7. *მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა (31,5 საათი);*
8. *მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა (34,5 საათი).*

*კოლეჯში ვიზიტის დროს ჩატარდა ინტერვიუ შპს „პსპ ფარმას“ წარმომადგენელთან - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან. მან დეტალურად აღწერა თუ როგორ იგეგმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შპს „პსპ ფარმას“ ბაზაზე, როგორ ხდებოდა მასწავლებელი-ინსტრუქტორების შერჩევა და რა სახის ხელშეკრულება დაიდო მათთან.*

*ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, შპს კლინიკა „ელიტი“, შპს „საპარუსი“ სადაც იგეგმება კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება (დასტურდება ხელშეკრულებებით). ობიექტებზე ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, დადგინდა აღნიშნული ობიექტების მზაობა სტუდენტების მიღებისათვის.*

**საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა:** დაწესებულება არ ახორციელებს სხვა პროგრამებს (პროგრამებს), გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა 08.08.2018 წლის ადმინისტრაციული საბჭოს N6 ოქმით;*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N33, 24.05.2018წ);*
- *პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების დამატების ინსტრუქიით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას დირექტორის ბრძანებით, N22, 12.04.2018წ);*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესით და დამტკიების პროცედურით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას დირექტორის ბრძანებით, N52, 29.10.2015წ);*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა დირექტორის ბრძანებით N 53, 10.08.2018წ);*
- *შპს „პსპ ფარმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით (N2018/04, 3.08.2018 წ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით შპს კლინიკასთან „ელიტი“ (9.08.2018 წ).*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით შპს „საპარუსთან“ (9.08.2018 წ).*

***შეფასება:***

*■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

*□ ქვესტანდარტი დარღვეულია*

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულების ვებ გვერდზე http://www.panacea.edu.ge არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც განთავსებულია ადმინისტრაციის მიმართვა, ინფორმაცია დასაქმების შესახებ, ინფორმაცია მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ, როგორც საგნობრივი, ასევე მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების აღწერილობა (სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, შეფასების წესი).*

*კატალოგში ასახულია ინფორმაცია დასამატებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ - კერძოდ, აღნიშნულია, რომ კოლეჯი 2018 წლიდან გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კბილის სატექნიკო საქმე“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული პროგრამების განხორციელებას.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*კატალოგი განახლებადია, რაც დასტურდება ვებ გვერდზე განთავსებული 2018 წლის ელ-ვერსიით. არსებობს აგრეთვე კატალოგის ბეჭდური ვერსია.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით: https://drive.google.com/file/d/1C20MmWiDh6RcJXsqXFxnht6xzPJq83ES/view*
- *კატალოგის ბეჭდური ფორმით.*

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სწავლის შედეგებს.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.*

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც ასახულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებაში (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით №4 6.07.2011წ). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამის) განხორციელებასთან დაკავშირებით რედაქტირებულია 2015 წელს ადმინისტრაციული საბჭოს ოქმის №3 17.08.2015წ. საფუძველზე და გადამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 34 17 .08.2015წ. კერძოდ,*

*<u>სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი</u> განმარტებულია წინამდებარე დებულების მე-4 მუხლში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში მოდულურ პროგრამაზე) სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რაც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს, შესაბამის პროფესიულ სტანდარტს, ასევე დაწესებულების მიერ შემუშავებულ ნორმატიულ აქტებს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსი შეიძლება მოიპოვოს პირმა, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რომელიც ადგენს ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, დოკუმენტების მიღების ვადას, რაც გამოქვეყნებული უნდა იქნას საჯაროდ დაწესებულების ვებგვერდზე.*

*<u>პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი</u> რეგულირდება დებულების მე-7 მუხლით. პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 2 წლის ვადით შემდეგ შემთხვევებში: აკადემიური შვებულება, ფინანსური დავალიანება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, პირადი განცხადების საფუძველზე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იმავე პროფესიული (ხოლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის, იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (ან მსგავსი) მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.*

*<u>სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი</u> განმარტებულია წინამდებარე დებულების მე-8 მუხლში. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: 2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება; სტუდენტის პირადი განცხადება; სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა და სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა ან არ გამოცხდება; პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*დარღვევა; სასწავლო პროცესის დაწყებიდან ოცდათი კალენდარული დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა; წინამდებარე დებულების, საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეას“ შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, ასევე კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების უხეში, ასევე სისტემატური დარღვევა; სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება.*

*<u>სტუდენტის მობილობის წესი</u> განსაზღვრულია წინამდებარე დებულების მე-9 მუხლით, <u>მიღებული განათლების აღიარება</u> აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების მე-10 მუხლში.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით №4 6.07.2011წ).*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც გაწერილია სასწავლო პროსესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 12): კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. <u>თუ ეს პირობა ვერ სრულდება, დაწესებულება, დებულების მიხედვით, იღებს ვალდებულებას, პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.</u>*

*დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების მობილობას სხვა სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში. <u>უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის არც ერთ კოლეჯს არ აქვს დამატებული კბილის სატექნიკო საქმის (მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა) და ფარმაციის (სააფთიაქო) (მეხუთე საფეხურის</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*<u>პროფესიული პროგრამა) პროგრამები. კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით რამოდენიმე კოლეჯი, რომელიც შედის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაში, გეგმავს აღნიშნული პროგრამების განხორციელებას და შეტანილი აქვს განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აღნიშნული პროგრამების დამატების თაობაზე.</u>*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით №4 6.07.2011წ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის (2018წ).*

**შეფასება:**

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც აღწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურები ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, შეფასების შედეგები წარედგინება დირექტორს, განიხილება ადმინისტრაციულ საბჭოზე, მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში მტკიცდება მოქმედებათა კონკრეტული გეგმა. საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი.*

*საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება სტუდენტებისა და პერსონალის - პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული მასწავლებლების, ასევე დამსაქმებლის, კურსდამთავრებულების გამოკითხვით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით №27, 27.04.2016წ);*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით №18, 24.04.2012წ);*

**შეფასება:**

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

**2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა ფუნქციონირებს ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩა N 2. კოლეჯს, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთსა და იმავე მისამართზე, სარგებლობის უფლებით აქვს აღებული ფართი 515,5 კვ.მ - ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულზე (საკადასტრო კოდი - N [redacted]) და 865.00 კვ.მ - სამსართულიანი შენობის მეორე და მესამე სართულებზე (საკადასტრო კოდი N 0[redacted]), სულ - 1380 კვ.მ ფართი. აღნიშნული ფართები განთავსებულია ორ შენობაში. იჯარის ხელშეკრულების ვადაა 01.09.2021 წლამდე.*

***დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:***

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 2 | 515,5 (I შენობა) |
| 2 | ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 2 | 865.00 (II შენობა) |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (ს/კ N [redacted]);*
- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (ს/კ N [redacted]);*
- *იჯარის ხელშეკრულებებით;*
- *აზომვითი ნახაზით;*
- *გასაუბრებით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

**შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას წარმოდგენილი ორი პროგრამის: „კბილის სატექნიკო საქმე“ და „ფარმაცია (საფთიაქოს)“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სასწავლო ფართი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ფარმაცია (საფთიაქო) და კბილის სატექნიკო საქმე. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ფარმაცია (საფთიაქო) და კბილის სატექნიკო საქმე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33[1] მუხლის 1 და 2 პუნქტები, შპს საზოგადოებრივი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*კოლეჯი პანაცეას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი. (შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის გრძანება N10 22.02.2018წ.). ამის შესაბამისად, დაწესებულებას ორივე პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს 80 სტუდენტის მიღება, ორ ცვლაში.*

***<u>კბილის სატექნიკო საქმე (მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამას)</u>*** *ემსახურება 5 სასწავლო გარემო (აუდიტორია): 1 A გარემო, 2C გარემო (კოლეჯის ბაზაზე), 1 B გარემო (კომპიტერული კლასი), პრაქტიკის ობიექტებზე არსებული სივრცე (შპს საპარუსი, კლინიკა ელიტი):*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რაოდენობრივი წიგნიერება | A გარემო | | | | |
| 2 | ინგლისური ენა | A გარემო | | | | |
| 3 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | A გარემო | | | | |
| 4 | მეწარმეობა 2 | A გარემო | | | | |
| 5 | პირის ღრუს ანატომიური სტრუქტურის იდენტიფიცირება | A გარემო | | | | |
| 6 | კბილის მაგარ და რბილ ქსოვილთა დაზიანების იდენტიფიცირება | A გარემო | | | | |
| 7 | გაცნობითი პრაქტიკა-სტომატოლოგიური საქმე | A გარემო | | შპს საპარუსი | | |
| 8 | კბილების ძერწვა და მოდელირება | A გარემო | | შპს საპარუსი | | |
| 9 | სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა | | | შპს საპარუსი | | |
| 10 | ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია | | | შპს საპარუსი | | |
| 11 | რთული ბიუგელისებური პროთეზი საკეტისაბური სამაგრით | | | შპს საპარუსი | | |
| 12 | სამუშაოს მიღება, ანალიზი და დაგეგმვა ექიმთან ერთად | | | შპს საპარუსი | | |
| 13 | ბიომექანიკური აპარატების პრაქტიკაში გამოყენება | A გარემო | C გარემო | | | |
| 14 | მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება | A გარემო | C გარემო | | | |
| 15 | მასალათმცოდნეობა და მისი გამოყენება | | C გარემო | | | |
| 16 | პლასტმასისა და მეტალის კონსტრუქციები | A გარემო | C გარემო | შპს საპარუსი | | |
| 17 | ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზების მომზადება, პოლიმერიზაცია | A გარემო | C გარემო | შპს საპარუსი | | |
| 18 | მეტალოკერამიკა | A გარემო | C გარემო | შპს საპარუსი | | |
| 19 | ორთოდონტული აპარატები | | C გარემო | | | |
| 20 | მეტალის ჩამოსხმის ტექნოლოგია | | C გარემო | შპს საპარუსი | | |
| 21 | მარტივი ბიუგელისებური პროთეზის დამზადება | | C გარემო | შპს საპარუსი | | |
| 22 | ცირკონოკერამიკა | | | | კლინიკა ელიტი | |
| 23 | მოსახსნელი იმლანტკონსტრუქციები | | | | კლინიკა ელიტი | |
| 24 | მოუხსნელი იმპლანტ კონსტრუქციები | | | | კლინიკა ელიტი | |
| 25 | კად კამი და სინთერიზაცია | | | | კლინიკა ელიტი | |
| 26 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | | | | | B გარემო |

*<u>პროგრამა -„კბილის სატექნიკო საქმე“</u> ხორციელდება I შენობაში:*

*მოწყობილია A გარემო (37,76 კვ.მ) 26 მაგიდითა და სკამით, კომპიუტერით და ეკრანით (აუდიტორია გათვლილია, ძირითადად, 20 სტუდენტზე);*

*B გარემო (42,5 კვ.მ) 20 კომპიუტერით და შესაბამისი მაგიდა-სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსის (კომბაინი) აპარატით;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*C1 (33,66 კვ.მ) გათვლილია 10 სტუდენტზე და მოწყობილია შესაბაამისი აღჭურვილობით;*
*C2 (17,98 კვ.მ) გარემო - ასევე, 10 სტუდენტზე გათვლილი, სათაბაშირე და საპოლიმერიზაციო ოთახით, ვენტილაციის გამართული სისტემით (ყველა სტუდენტს საშუალება აქვს დამოუკიდებლად ჩართოს საკუთარი ვენტილაცია, თავის მაგიდასთან).*

*კოლეჯის ადმინისტრაციას შეძენილი აქვს „კბილის სატექნიკო საქმის“ პროგრამის განსახორციელებლად შესაბამისი აღჭურვილობა, რომელიც განთავსებულია C1 და C2 აუდიტორიებში: სტომატოლოგიური სატექნიკო მაგიდა, სტომატოლოგიური სატექნიკო სკამი, სავენტილაციო სისტემა, ინდივიდუალური განათების სისტემა (მაგიდის სანათი), დაფა, მონიტორი, კომპიუტერი, ელექტრო ფითხი (ელ.ცვილის სადნობი), ხელის მიკროძრავები (სატექნიკო ბორმანქანა), ოკლუდატორები, სპირტქურა. ასევე, ლაბორატორიული მაგიდა, კომპრესორი, სატექნიკო ძრავი (შლეიფმოტორი), საწნეხი აპარატი (წნეხი), დარიჯები, დარიჯის დამჭერები (ბიგელები), სატექნიკო ბორმანქანა, სანტექნიკო ჩაქუჩი, ვიბრომაგიდა, მუფელის ღუმელი, რეზინის ჯამები, თაბაშირის დანა, არტიკულატორი, თაბაშირის ფითხი, სამოდელირო ფითხი, ფუნჯი, პინცეტი, პლასტმასის მოსაზელი ჯამი, ბორები, მყარშენადნობიანი ბორები, საპრიალებელი ჯარისი, ხერხი, სასეპარაციო დისკები, გაზქურა, წყლის ასადუღებელი ჯამი, არხული ცენტრიდანული ვენტილიატორი (გამწოვი), სტუდენტის სკამი და ყველა საჭირო აღჭურვილობა, საჭირო რაოდენობით.*

*პირველ შენობაშია განთავსებული ბიბლიოთეკაც (34,46 კვ.მ), სადაც არის 10 კომპიუტერი, 10 ორადგილიანი მერხი, კომბინირებული აპარატი (ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი). ბიბლიოთეკაში არის შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც მითითებულია განსახორციელებელი მოდულების ლიტერატურის ჩამონათვალში.*

***<u>ფარმაცია (საფთიაქო) მეხუთე საფეხურის მოდულურ პროგრამას</u>*** *ემსახურება 7 სასწავლო აუდიტორია (გარემო): 2 კომბინირებული AC გარემო (AC-1 და AC-2), 1C გარემო, პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის AC გარემო, A გარემო ინგლისური ენისთვის, B გარემო (კომპიუტერული კლასი), პრაქტიკის ობიექტზე არსებული C გარემო (პსპ ფარმა-ს აფთიაქები). დაწესებულებას პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის ფარგლებში ჰყავს 12 სტუდენტი და წარმოდგენილი პროგრამების დამატების შემთხვევაში (ცხრილის მიხედვით) ხელმისაწვდომი იქნება ყველა მოდულის სრულფასოვანი გავლა, შესაბამის გარემოში.*

*პროგრამის განსახორციელებლად II შენობის მეორე და მესამე სართულებზე არის გამოყოფილი აუდიტორიები AC–1 (38,98 კვ.მ), AC–2 (41,98 კვ.მ), C (51,53 კვ.მ). აუდიტორიებში განლაგებულია 20 -20 მოსწავლის მერხი, სკამით, მასწავლებლის მაგიდა, სკამით, კომპიუტერები, მონიტორები, დაფა და სხვა აუცილებელი ინვენტარი. ასევე, სააფთიაქო ინვენტარი, სამედიცინო ხალათი, საწოვარები, ჩვილი ბავშვის მოვლის საშუალებები და აღჭურვილობა, თერმომეტრები - ელექტრო და ვერცხლისწყლის, ჩვილი ბავშვის კვების პროდუქტები და სხვა. ასევე, ჟანგბადის ბალიში, მუშამბა, ოყნა, სათბურა, სუდნო,ყინულის ბუშტი, კათეტერი ფოლის, კატეტერი ვენის, სისტემა ხსნარების გადასხმის, ნაწოლების რგოლი, სახისა და თმის მოვლის საშუალებები, მაკიაჟის და ჰიგიენის საშუალებები, საპარსი საშუალებები და სხვა აუცილებელი აღჭურვილობა.*

*C გარემოც მოწყობილია მოთხოვნის შესაბამისად: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული მაგიდა, მაცივარი, კონდეციონერი, გამწოვი მოწყობილობა, მაშრობი კარადა, წყლის აბაზანა (ელექტრო), რეფრაქტომეტრი, PH მეტრი, გრადუირებული გამზომი ცილინდრები - სხვადასხვა ზომის, ხელის სასწორები, ანალიზური სასწორი, საწონების კომპლექტი, როდინი სასრესით-სხვადასხვა ზომის, შპადელი, კოლბა ერლენ მეიერის შლიფით, კოლბა კონუსური,*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*შტანგლასები (სხვადასხვა ზომის), ძაბრი მინის (სხვადასხვა ზომის), რბილი წამალთა ფომების დასაფასოებელი ჭურჭელი, სპირტქურა, პირველადი დახმარების ყუთი, მინის ჩკირები, სპეციალური კოვზი (ფხვნილის ასაღებად), სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი, თავსახურებით(სხვადასხვა ზომის და ფერის), შტატივები (მეტალის), სინჯარები, ქიმიური კოვზი, ლანცეტები, მენზურები, ბიურეტი, ქიმიური ჭიქა, საწვეთური, მინის და რეზინის მილები, თერმომეტრების ნაკრები, მიკროსკოპი, ჰერბარიუმი, გამადიდებელი შუშა, სასაგნე მინა, საფარი მინა, სამართებელი, პეტრის ჯამი, ფაიფურის ფიალა პატარა, ფაიფურის ფიალა საშუალო, უჯრედების მიკროპრეპარატების კომპლექტი, ქსოვილების მიკროპრეპარატების კომპლექტი, თერმო-ჰიგრომეტრი, სათლი, კონტეინერები, კარადები (დიდი ღია, ქიმიური ჭურჭლის, ქიმიური რეაქტივების), ტრიალა (დიდი, პატარა) და სხვა აუცილებელი აღჭურვილობა.*

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოტანიკა | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 2 | მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 3 | ანალიზური ქიმიის საფუძვლები | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 4 | სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 5 | სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 6 | სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1 | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 7 | სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2 | A-C-1 გარემო | | C გარემო | | | | |
| 8 | ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 9 | ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 10 | სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 11 | სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 12 | ბიოქიმია | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 13 | მიკრობიოლოგიის საფუძვლები | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 14 | ფარმაკოლოგია | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 15 | მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 16 | მეწარმეობა 3 | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 17 | ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა | | A-C-2 გარემო | | | | | |
| 18 | ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები | | A-C-2 გარემო | C გარემო | | | | |
| 19 | მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება | | A-C-2 გარემო | C გარემო | | | | |
| 20 | მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა | | A-C-2 გარემო | | ჰსპ ფარმა | | | |
| 21 | მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა | | A-C-2 გარემო | | ჰსპ ფარმა | | | |
| 22 | მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა | | A-C-2 გარემო | | ჰსპ ფარმა | | | |
| 23 | მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა | | A-C-2 გარემო | | ჰსპ ფარმა | | | |
| 24 | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში | | | C გარემო | ჰსპ ფარმა | | | |
| 25 | მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება | | | | ჰსპ ფარმა | | | |
| 26 | პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება | | | | ჰსპ ფარმა | | | |
| 27 | მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში | | | | ჰსპ ფარმა | | | |
| 28 | პირველადი გადაუდებელი დახმარება | | | | | პრაქტ ექთნის AC გარემო | | |
| 29 | ინფორმაციული წიგნიერება 2 | | | | | | B გარემო | |
| 30 | ინგლისური ენა | | | | | | | A გარემო |

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯს პანაცეას, წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*კბილის სატექნიკო საქმის პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები კლინიკასთან შპს „ელიტი“ (09.08.2018წ) და შპს „საპარუსი“ – 15 პროფესიული მოდულის განსახორციელებლად.*

*ფარმაცია (სააფთიაქოს) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“ (03.08.2018წ), 8 პროფესიული მოდულის განხორციელების მიზნით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ხელშეკრულებით;*
- *აზომვითი ნახაზით;*
- *შესყიდვის ქვითრებით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.*

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება, ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, დამონტაჟებულია გათბობის სისტემა.*

*პირველ შენობაში არის 4 სველი წერტილი - 2 ბიჭებისა და 2 გოგონებისათვის. 1 სველი წერტილი განკუთვნილია ისეთი სსსმ მოსწავლისათვის, რომელსაც სჭირდება ეტლით გადაადგილება. მეორე შენობაში არის 8 სველი წერტილი - აქედან, მეორე სართულზე გამოყოფილია 2 ბიჭებისათვის, 2 გოგონებისათვის, ერთიც არის ადაპტირებული სველი წერტილი. მესამე სართულზე არის 2 სველი წერტილი გოგონებისათვის, ერთიც - ადაპტირებული (ადაპტირებულ სველ წერტილეთან მისასვლელადაც არის პანდუსი).*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;*
- *ადგილზე დათვალიერებით.*

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკის ფონდი მუდმივად ივსება ახალი ბეჭდური გამოცემებით და ელექტრონული რესურსებით. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და ელექტრონული კატალოგით. პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს საშუალება აქვთ, შეუზღუდავად ისარგებლონ უფასო ინტერნეტმომსახურებით. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა https://panacea.edu.ge/geo/library.php.*

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით (N4, 6.07.2011წ) დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე და ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული. დაწესებულების ვებ გვერდზე აგრეთვე განთავსებულია ელექტრონული საძიებო სისტემა OPEN BIBLIO - http://panacea.edu.ge/site/openbiblio/home/index.php.*

*ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი, დათვალიერების შედეგად (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით), შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით (N4, 6.07.2011წ) დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;*
- *დაწესებულების ვებ გვერდზე განტავსებული ინფორმაციით https://panacea.edu.ge/geo/library.php;*
- *ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულებით;*
- *ბიბლიოთეკარის პირადი საქმით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინტერვიურებით.*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაშიც და დაწესებულების მართვაშიც. წარმოდგენილი „კბილის სატექნიკო საქმის“ პროგრამის B და A გარემოსათვის განკუთვნილ კომპიუტერულ კლასებში, ასევე, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 32 კომპიუტერი, ორი კომბაინი, ერთი პროექტორი. „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროგრამის განსახორციელებლად, B*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*გარემოსთვის, გამოიყენება პირველ შენობაში განთავსებული კომპიუტერული ოთახი. მეორე კორპუსში გამოყოფილ სამ აუდიტორიაში განთავსებულია სამი კომპიუტერი. სულ სასწავლო პროცესის წარმართვას ემსახურება 35 კომპიუტერი.*

*კომპიუტერები და კომბინირებული პრინტერი (ქსეროქსით და სკანერით), განთავსებულია კანცელარიაში, ბუღალტერიაში, დირექციაში და მათი გამოყენება ხდება დაწესებულების მართვაში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე დაწესებულების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.*

*დაწესებულებას საკუთრებაში აქვს: 44 კომპიუტერი (პერსონალური კომპიუტერი, ნოუთბუქი), მონიტორი - 17, პრინტერი - 11, პროექტორი - 4.*

| | | კომპიუტერები | პროექტორი | მონიტორი | პრინტერი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერული კლასი B გარემო | 21 | | | |
| 2 | ადმინისტრაციის მფლობელობაში | 8 | | | 6 |
| 3 | ბიბლიოთეკა | 10 | | | 2 |
| 4 | კბილის სატექნიკო (C გარემო) | 1 | | | |
| 5 | პედაგოგები | 4 | | | |
| 6 | ფარმაცია (სააფთიაქო) | 3 | | | 3 |
| | სულ | 44 | 4 | 17 | 11 |

*დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა, რაც დასტურდება ს.ს. "სილკნეტთან" 2010-11-03 [redacted] და მაგთიკომის მომსახურეობის [redacted] ხელშეკრულებებით , არსებული ხელშეკრულების თანახმად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;*
- *სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადახდის ქვითრებით.*

**შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას შემუშავებული აქვს დებულება საქმისწარმოების შესახებ (ბრძანება N3. 05.07.2011). კოლეჯში მიმდინარეობს შემოსული და გასული დოკუმენტაციის წარმოება, ასევე, შიდა და*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება მიმდინარეობს დებულების შესაბამისად. ჟურნალები დაცულია და ზონარგაყრილი.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დებულებით საქმისწარმოების შესახებ (ბრძნება N3. 05.07.2011);
- შესაბამისი ჟურნალებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი-**

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში, ორივე შენობაში, სპეციალური სამსახურის მიერ შესრულებული და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმის შესაბამისად (მითითებულ ადგილებზე და მითითებული რაოდენობით) დამაგრებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც გადამუხტულია და ვადიანია.*

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა:**

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში, ორივე შენობაში, თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია სპეციალური სამსახურის მიერ შესრულებული და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები (თითო სართულზე ორი ცალი).*

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:**

*დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის N 45 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი, აქვე გაწერილია ექთნის/ექიმის უფლება მოვალეობები.*

*დაწესებულებას სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესის შესაბამისად (14.09.2017), ბრძანებით დანიშნული ჰყავს პირველი კორპუსისათვის ექთანი, ხოლო მეორე კორპუსისათვის - ექიმი, რომლებიც ზრუნავენ სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველი დახმარების აღმოჩენაზე.*

*დაწესებულების ორივე შენობაში განთავსებულია სამედიცინო ყუთები, რომლებშიც განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები (ვადები დაცულია) და აღჭურვილობა. აქვთ მოსასვენებელი ტახტი.*

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

*წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან. დღის განმავლობაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები (ბრძანება N 7. 6.15.02.2016).*

*წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმები გაწერილია შინაგანაწესში - თავი VIII, მუხლი 26.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბრძანებებით;
- ხელშეკრულებებით;
- შინაგანაწესით (თავი VIII, მუხლი 26);
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესით (14.09.2017).

**შეფასება:**

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს პანაცეას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის წესი, მოწყობილი აქვთ გარემო ისეთი სსსმ სტუდენტისათვის, რომელიც საჭიროეობს ეტლით გადაადგილებას - სველი წერტილი და პანდუსები.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის წესით;
- ვიზუალური დათვალირებით;

**შეფასება:**

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*კოლეჯის ვებგვერდი - www.panacea.edu.ge ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია ადმინისტრაციის შესახებ, სიახლეები, ნორმატიული აქტები, ფოტო-გალერეა, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამების განმახორციელებელი პირების, სასწავლო გაზების, ბიბლიოთეკის შესახებ, კატალოგი, მისია, მიზანი და ამოცანები, სტრუქტურა, სამოქმედო გეგმები,*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

*ინფორმაცია დასაქმების შესახებ. ვებგვერდზე ხდება ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლება, რეგულარულად თავსდება სიახლეები. ბოლო სიახლე განთავსებულია 2018 წლის 1 ოქტომბერს. ვებ–გვერდი ორენოვანია, აქვს ინგლისურენოვანი ვერსიაც.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვებ-გვერდით - www.panacea.edu.ge*

**შეფასება:**

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯს პანაცეას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა (2016-2022), რომელიც დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის N 27 ბრძანებით, 27.06.2016წ. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან ორიენტირებულია მის განხორციელებაზე. მასში განთავსებულია ინფორმაცია განსახორციელებელი აქტივობების, განხორციელების პერიოდის შესახებ. ერთწლიანი 2018-2019 სამოქმედო გეგმა განხილულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციული საბჭოს მიერ (ოქმი N5, 27.07.2018წ) და დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით N51, 27.06.2018წ); ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია 2 ახალი პროფესიული პროგრამის დამატება (ფარმაცია (სააფთიაქო) და კბილის სატექნიკო საქმე.*

*კოლეჯის ვებ გვერდზე მოთავსებულია საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ერთწლიანი (2017 – 2018 სასწავლო წელი) სამოქმედო გეგმის ანგარიში.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *შპს საზოგადოებრივ კოლეჯს პანაცეას განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმით (2016-2022) (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით N27, 27.06.2016წ);*
- *ერთწლიანი (2017-2018) სამოქმედო გეგმის ანგარიშით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით N51, 27.06.2018წ);*
- *შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის N 27 ბრძანებით (27.07.2016წ);*
- *მოკლევადიანი 2018-2019 სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის ბრძანებით N51, 27.06.2018წ);*

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს**

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №45 (14.09.2017), სადაც გაწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *პერსონალის პირადი საქმეებით;*
- *შრომითი ხელშეკრულებებით;*
- *დირექტორის ბრძანებით №45. 14.09.2017*
- *პროფესიულ მასწავლებელებთან ინტერვიუირებით*

**შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი**

*საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა-ს პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციებს. კოლეჯი საავტორიზაციო განაცხადით ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 2 პროგრამის დამატებას, რომლებსაც განახორციელებს 22 პროფესიული მასწავლებელი. კონკრეტულად კი, პროგრამის „კბილის სატექნიკო საქმე“ განხორციელებისთვის გათვალისწინებულია 12 პირი, ხოლო „ფარმაცია (სააფთიაქო)“- სთვის - 14 პირი. დაწესებულებას ორივე პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს 80 სტუდენტის მიღება, ორ ცვლაში. 80/22=3 ანუ 3 სტუდენტზე 1 პროფესიული მასწავლებელი. პრაქტიკის ობიექტებზე გატანილ მოდულებს ყველა შემთხვევაში ახორციელებენ პრაქტიკული ობიექტების თანამშრომლები, ყველასთან დადებული არის მომსახურეობის ხელშეკრულებები.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით; პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალით;*
- *პროფესიულ მასწავლებელებთან ინტერვიურებით.*

**შეფასება:**

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით**

*პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. თანამშრომელთა შერჩევა და შრომითი ურთიერთობები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, რომელიც დამტკიცებულია № 46, 3.09. 2013 წ. დირექტორის ბრძანებით (რედაქტ. № 34 17 .08.2015წ). პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, რომლებიც შედგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებებში ნათლად არის გაწერილი მომსახურების საგანი, მითითებულია განსახორციელებელ მოდულთა ჩამონათვალი და მათი მოცულობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა უფლება- მოვალეობები, მომსახურების ანაზღაურება და ხელშეკრულების შეწყვეტისა და დავის გადაწყვეტის გზები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესი“. დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #30 (2.07.2012), რედაქტირებულია მოდულური პროგრამის განხორც. დაკავშირებით #34 ბრძ. (17.08.2015)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით*
- *პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით*
- *პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესით*
- *შინაგანაწესით*
- *დირექტორის ბრძანებით*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*

## *VIII პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ეფსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კბილის სატექნიკო საქმე | მე-4 საფეხური | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კბილის სატექნიკო საქმეში (090252). | 82 | 112 | ქართული | ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ.2 | 0 | 40 |
| 2 | ფარმაცია (საფთიაქო) | მე-5 საფეხური | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (090352). | 123 | 153 | ქართული | ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ.2 | 0 | 40 |

## *IX. თანდართული დოკუმენტაცია*

*დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (ახლავს დასკვნის პროექტს)*

*31/10/2018წ*
*ქ. თბილისი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

*{თბილისი, 2018წ }*